

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს
სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს

შპს „რასეტი“-ს
(ს/კ 445579464)

სკრინინგის განცხადება

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 03 აგვისტოს N21/4101 ხარვეზის წერილის შესაბამისად წარმოგიდგინთ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში განთავსებული (საკადასტრო კოდი: 34.09.46.177) შპს „რასეტი“-ს (ს/კ445579464) ქვიშა-ხრემის სამსხვრევი საწარმოს სკრინინგის ანგარიშს შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სახით.

გთხოვთ, განიხილოთ აღნიშნული განცხადება და მიიღოთ გადაწყვეტილება საწარმოს საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისადმი დაქვემდებარების შესახებ.

დანართი: სკრინინგის განაცხადი 1 ეგზემპლარად და დოკუმენტის ელექტრონული ვერსია.

პატივისცემით,

შპს „რასეტი“-ს
(ს/კ 445579464)
დირექტორი: ტიმურ სოკალსკი

02.08.2022.



შპს „რასეტი“
ქვიშა-ხრეშის სამსხვრევი საწარმოს
სკრინინგის ანგარიში

სამტრედიის მუნიციპალიტეტი სოფელი ბაში

შემსრულებელი : შპს „ელსჰაუსი“ (ს/კ 412756334)

დირექტორი: ზ.კვაბჭირიძე.

ტელ: 577-74-77-33



დამკვეთი: შპს „რასეტი“ (ს/კ 445579464)

დირექტორი: ტიმურ სოკალსი

ტელ: 599-40-30-07

A handwritten signature in blue ink, consisting of stylized, overlapping loops and lines.

ქ. ქუთაისი 2022 წელი

შინაარსი

| | |
|---|-----------|
| შესავალი ----- | გვ. 3 |
| 1. ძირითადი მონაცემები საწარმოს საქმიანობის შესახებ ----- | გვ.4 |
| 2. საწარმოს განთავსების ადგილმდებარეობა და საქმიანობის ზოგადი აღწერა----- | გვ.5 |
| 3. საწარმოს ტექნოლოგიური პორცესის აღწერა და ინფრასტრუქტურა----- | გვ.6-7 |
| 4. საწარმოს წელლეულით მომარაგება ----- | გვ 8 |
| 5. საწარმოს წყალმომარაგება, კანალიზაცია და ჩამდინარე წყლების არინება ----- | გვ. 9-10 |
| 6. საწარმოს ექსპლუატაციის პორცესში გარემოზე შესაძლო ზემოქმედება ----- | გვ.11-12 |
| 7. ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე - ----- | გვ. 12-13 |
| 8. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა სახეობები და მათი მახასიათებელი სიდიდეები ----- | გვ.13 |
| 9. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევის რაოდენობის ანგარიში---- | გვ.14-17 |
| 10. ხმაურის გავრცელება და ზემოქმედება ----- | გვ. 18-20 |
| 11. ნიადაგი, გრუნტის, მიწისქვეშა და ზედაპირული წყლების დაბინძურება----- | გვ.20-21 |
| 12. საშიში გეოლოგიური მოვლენებისგანვიტარების რისკი ----- | გვ. 21 |
| 13. ზემოქმედება კულტურულ გარემოზე ----- | გვ.21 |
| 14. ზემოქმედება ბუნებრივ ლანდშაფტსა და ბიოლოგიურ გარემოზე ----- | გვ. 21 |
| 15. ნარჩენების წარმოქმნა და მართვა ----- | გვ.22 |
| 16. ზემომქედება ადამიანის ჯანმრთელობაზე და უსაფრთხოებაზე ----- | გვ. 23 |
| 17. კუმულაციური ზემოქმედება ----- | გვ.23-24 |
| 18. სოციალურ გარემოზე მოსალოდმნელი ზემომქედება ----- | გვ. 24 |
| 19. ლიტერატურა ----- | გვ.25 |
| 20. დანართი----- | გვ.26 |

- სურათი N1, N2
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, ხელშეკრულებები
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, საკადასტრო რუკა
- გენ-გეგმა, ხელშეკრულებები
- ამონაწერები სამეწამრეო და საჯარო რეესტრიდან

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში განთავსებული შპს „რასეტი“-ს (ს/კ445579464) ქვიშა-ხრეშის სამსხვრევი საწარმოს სკრინინგის ანგარიშს.

შპს „რასეტი“-ს საწარმო 2021 წლის 27 დეკემბერს შემოწმებული იქნა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ და გამოვლენილი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის-გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული საქმიანობის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების-სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე ობიექტის მიერ საქმიანობის განხორციელების გამო შედგენილი იქნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმი N 065986 797 მუხლი 1 ნაწილის დარღვევით.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“-ს II დანართის მე-5 პუნქტის 5.1 ქვეპუნქტის თანახმად სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) გადამუშავება წარმოადგენს საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართით გათვალისწინებულ საქმიანობას.

ზემოაღნიშნულისა და იმის გათვალისწინებით, რომ შპს „რასეტი“-ს საწარმოს საქმიანობა საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის მე-5 პუნქტის, 5.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმიანობაა, იმავე კოდექსის მეშვიდე მუხლის შესაბამისად ექვემდებარება სკრინინგის პროცედურის გავლას, გზშ-ს ჩატარების საჭიროების მიზნით, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის შესაბამისად შემუშავებული იქნა საწარმოს სკრინინგის ანგარიში.

საქმიანობის განმახორციელებლის მიერ სამინისტროსთვის წარდგენილი სკრინინგის განცხადება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა უნდა მოიცავდეს: მოკლე ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის შესახებ, ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლების, განხორციელების ადგილისა და შესაძლო ზემოქმედების ხასიათის შესახებ.

სკრინინგის პროცედურის დასრულების შემდეგ თუ, სამინისტრო დაადგენს, რომ დაგეგმილი საქმიანობა არ ექვემდებარება გზშ-ს, განმცხადებელი ვალდებულია დაიცვას საქართველოში არსებული გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნები და გარემოსდაცვითი ნორმები.

1. ძირითადი ინფორმაცია საქმიანობის განმახორციელებლისა და დაგეგმილი საქმიანობის ტექნიკური მახასიათებლების შესახებ

ზოგადი ცნობები საწარმოს შესახებ მოცემულია ცხრილში 1

ცხრილი N1

| ძირითადი ინფორმაცია საქმიანობის განმახორციელებლის შესახებ | |
|--|---|
| საქმიანობის განმახორციელებელი | შპს „რასეტი“ |
| საიდენტიფიკაციო კოდი | ს/კ 445579464 |
| კომპანიის იურიდიული მისამართი | ქ. ქუთაისი ბარათაშვილის ქ. 42 ნაკვეთი N2 |
| საქმიანობის განხორციელების ადგილის ფაქტიური მისამართი, საკადასტრო კოდი | სამტრედიის მუნიციპალიტეტი სოფელი ბაში (საკ. კოდი: 34.09.46.177) |
| საქმიანობის სახე | სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) გადამუშავება |
| დირექტორი | ტიმურ სოკალსკი |
| საკონტაქტო ტელეფონი | 579 88 00 77, 599 40 30 07 |
| ელექტრონული ფოსტა | S777tt777@gmail.com |
| საკონსულტაციოს ფირმა | შპს „ელსჰაუსი“ |
| საკონტაქტო ტელეფონი | 577-74-77-33 |
| დაგეგმილი საქმიანობის ტექნიკური მახასიათებლები | |
| საქმიანობის განხორციელების ადგილი | სამტრედიის მუნიციპალიტეტი სოფელი ბაში |
| განთავსების ადგილის კოორდინატი | X-290991.5, Y-4668555 |
| მანძილი ობიექტიდან უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე | 0,52 კმ |
| საპროექტო წარმადობა | |
| გამომშვებული პროდუქციის სახეობა | სხვა და სხვა ფრაქციის ღორღი და ქვიშა |
| საპროექტო წარმადობა | 20 მ ³ /სთ, |
| ნედლეულის სახეობა და ხარჯი | ქვიშა-ხრეში 46 080 მ ³ /წელ (72 728 ტ/წელ) |
| მეთოდი | სველი |
| საწვავის სახეობა და ხარჯი (სატრანსპორტო საშუალებების მიერ გამოყენების გარდა) | ---- |
| სამუშაო დღეთა რაოდენობა წელიწადში | 288 დღე |
| ტექნოლოგიურ პროცესების ხანგრძლიობა დღე-ღამეში,სთ | 8სთ |

2. საწარმოს განთავსების ადგილმდებარეობა და საწარმოს საქმიანობის ზოგადი აღწერა

შპს „რასეტი“-ს (ს/კ445579464) ქვიშა-ხრემის სამსხვრევი საწარმო მდებარეობს სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში, იჯარით აღებულ ტერიტორიაზე, (GPS-კოორდინატი: X-0290794, Y-4668561). საწარმოს განთავსების ტერიტორია არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 34.09.46.177, ფართობი - 21 333 კვ.მ-ს) წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას და 2017 წლიდან საიჯარო ხელშეკრულებით სარგებლობს კომპანია შპს „კენჭი“ (ს/კ444959109) (იხ. ხელშეკრულება 07.07.2017 წელი და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან).

შპს „რასეტი“ წარმოადგენს შპს „კენჭის“ ქვემოიჯარე კომპანიას და 2021 წლიდან დროებით სარგებლობაში გადაცემული აქვს აღნიშნული მიწის ნაკვეთი (საკ. კოდი:34.09.46.177) და ასევე სარგებლობაში გადევს შპს „კენჭის“ საკუთრებაში არსებული სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრემის) მოპოვების N 1004723 ლიცენზია (იხ. იჯარის ხელშეკრულება 2021 წლის 01 ივნისი).

საწარმოს ირგვლივ ესაზღვრება ძირითადად თავისუფალი ტერიტორიები და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები. ჩრდილოეთის მხრიდან: ტყის მასივი, აღმოსავლეთით ესაზღვრება კერძო საკუთრებაში არსებული სასოფლო-დანიშნულების მიწის ნაკვეთები და დასახლებული პუნქტი- სოფელი ბაში. ობიექტიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი (მოქ. ალექსანდრე კაშია, საკ. კოდი: 34.09.46.103) დაშორებულია 0,52კმ მანძილზე. სამხრეთით - გადის საწარმოსთან მისასვლელი გრუნტის გზა და საწარმოს განთავსების ტერიტორიის საზღვრიდან 0,2 კმ მანძილის მოშორებით შპს „ვარციხე ჰესის“ სადერივაციო არხი. დასავლეთით - შპს „რესურსი 2009“ (საკ. კოდი : 34.09.46.159) და შპს „პინგვინი“ (საკ. კოდი: 34.09.46.020)ქვიშა-ხრემის სამსხვრევი საწარმოები.

საწარმოს განთავსების ტერიტორიის GPS კოორდინატები მოცემულია ცხრილში N2

ცხრილი N2

| წერტ.-N | წერილის GPSკოორდინატები | |
|---------|-------------------------|---------|
| | X | Y |
| 1 | 290991.5 | 4668555 |
| 2 | 290983.2 | 4668550 |
| 3 | 290972.3 | 4668536 |
| 4 | 290963.1 | 4668530 |
| 5 | 290951.1 | 4668519 |
| 6 | 290941 | 4668513 |
| 7 | 290906 | 4668529 |
| 8 | 290882.5 | 4668540 |
| 9 | 290872.5 | 4668539 |
| 10 | 290855.2 | 4668544 |
| 11 | 290827.9 | 4668552 |
| 12 | 290804.7 | 4668564 |
| 13 | 290794.7 | 4668567 |

| | | |
|----|----------|---------|
| 14 | 290786 | 4668568 |
| 15 | 290779.3 | 4668569 |
| 16 | 290716.7 | 4668592 |
| 17 | 290700.8 | 4668599 |
| 18 | 290682.6 | 4668610 |
| 19 | 290665.5 | 4668627 |
| 20 | 290666 | 4668643 |
| 21 | 290697.7 | 4668690 |
| 22 | 290704.4 | 4668684 |
| 23 | 290773.6 | 4668648 |
| 24 | 290790.4 | 4668628 |
| 25 | 290813.4 | 4668607 |
| 26 | 290840.1 | 4668591 |
| 27 | 290882.5 | 4668632 |
| 28 | 290952.6 | 4668579 |
| 29 | 290991.5 | 4668555 |

3. საწარმოს ტექნოლოგიური პროცესის აღწერა და ინფრასტრუქტურის ელემენტები

საპროექტო ტერიტორიაზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენა არ არის წარმოდგენილი, საწარმოს ტერიტორია მოშანდაკებულია. ცენტრალური გზიდან საპროექტო ტერიტორიამდე მოწყობილია მისასვლელი გრუნტის გზა. საპროექტო ტერიტორიაზე ქვიშა-ხრეშის გადამამუშავებელი ხაზი მოწყობილია მიწის ნაკვეთის აღმოსავლეთ ნაწილში, თავისუფალ ტერიტორიაზე. საპროექტო ტერიტორიაზე გადამამუშავებელი ხაზის (სამსხვრევი დანადგარების და ღია საწყობების) მიერ დაკავებული ტერიტორიის ფართობი იქნება 5000კვ.მ-ს.

საწარმოს ტერიტორიაზე იმოქმედებს ქვიშა-ხრეშის გადამამუშავებელი ერთი ხაზი. ქვიშა-ხრეშის მსხვრევის პროცესი განხორციელდება სველი მეთოდით.

საწარმოს ფუნქციონირებისათვის საჭირო ტექნოლოგიური და დამხმარე ინფრასტრუქტურის ელემენტები მოიცავს ქვის მსხვრევისა და დახარისხებისათვის გამოყენებულ შემდეგ დანადგარებს: საწარმოს მიერ იჯარით აღებულ ტერიტორიაზე, ღია ცის ქვეშ მოწყობილია შემდეგი ინფრასტრუქტურის ელემენტები: ნედლეულის ბაქანი, ქვიშა-ხრეშის მიმღები ფოლადის ბუნკერი, ქვიშა-ხრეშის სამსხვრევი - ყბებიანი და როტორული მსხვრევანა, ლენტური ტრანსპორტიორი, კლასიფიკატორი, ვიბროსარეცხელა, დამახარისხებელი მბრუნავი ცხავი, ნედლეულისა და პროდუქციის ღია საწყობები.

საოპერატორო და მომსახურე პერსონალისთვის განკუთვნილი შენობა ფართით 60 კვ.მ.(იხ. დანართი, სიტუაციური ნახაზი გენ-გეგმა)

ტექნოლოგიური პროცესის სქემა ითვალისწინებს შემდეგი ოპერაციების თანმიმდევრობას:

- ქვიშა-ხრემის (ბალასტის) შემოტანა
- ღია საწყობებზე განთავსება
- ქვიშა-ხრემის მიმღები ბუნკერში ჩაყრა
- ბუნკერიდან ქვიშა-ხრემის ჩაყრა ყბებიან სამსხვრევეში
- ლენტური ტრანსპორტიორით ყბებიანი სამსხვრევიდან ქვიშა-ხრემის მიწოდება ვიბრაციულ სარეცხელას
- სარეცხელადას ლენტური პრასნპოტიორით მიწოდება როტორულ მსხვრევანაზე
- მსხვრევანებიდან ლენტური პრანსპორტიორით ღორღის მიწოდება ვიბრაციულს დამხარისხებელზე
- მიღებული (0- 8,8-12,12-18 მმ) ქვიშა-ღორღის განთავსება ღია საწყობებში

საწარმოს საპროექტო წარმადობა შეადგენს 20მ³ /სთ-ში, წელიწადში საწარმოს სამუშაო ფონდის გათვალისწინებით (დღეში 8 საათიანი და წელიწადში 288 დღიანი სამუშაო რეჟიმით) შეუძლია დაახლოებით 46 080 მ³/წელ (72 728ტ/წელ) ბალასტის დამსხვრევა და სამი სახეობის (0-8,8-12,12-18მმ) ფრაქციის ქვიშა-ხრემის წარმოება. საწარმო დღეში გადაამუშავებს მხოლოდ 160 მ³ ბალასტს (256ტ.)

ამდენად წლის განმავლობაში 288 დღიანი სამუშაო რეჟიმით გადაამუშავებს 46 080 მ³/წელ (72 728ტ/წელ) ქვიშა-ხრემს.

საწარმოში საჭირო ნედლეულის (ქვიშა-ხრემი) შემოტანა ხდება ავტოთვიმცლელებით და იყრება საწარმოს ტერიტორიაზე, შესაბამის ნედლეულის ღია სასაწყობე მოედანზე, საიდანაც ბულდოზერის საშუალებით ჩაიტვირთება მიმღებ ბუნკერში, მიმღები ბუნკერიდან ნედლეული მიეწოდება როტორულ სამსხვრევეს. მიღებული ფრაქცია (0-8,8-12,12-18მმ) სხვადასხვა ზომის ღორღი იყრება ღია საწყობებში. ნედლეულის და პროდუქციის ტრანსპორტირებისათვის საწარმო გამოიყენებს არსებულ საავტომობილო და საწარმომდე მისასვლელ გრუნტის გზას, რომლის მდგომარეობის შენარჩუნებას უზრუნველყოფს კომპანია.

შპს „რასეტი“ ნედლეულის ქვიშა-ხრემის მოპოვებას და საწარმოში გადასამუშავებლად შემოტანას ახორცილებდა კომპანია შპს „კენჭი“-ის (ს/კ 444959109) საკუთრებაში არსებული ლიცენზირებული კარიერიდან კომპანიებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. შპს „კენჭი“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშის მიმდებარე ტერიტორიაზე ფლობს სასარგებლო წიაღისეულის (მდ. რიონის ქვიშა-ხრემის) მოპოვების N10104723 ლიცენზიას. (იხ. ხელშეკრულება 2021 წლის 01 ივნისი). ლიცენზიის მოქმედების ვადაა 2017 წლის 21 ივლისიდან 2022 წლის 22 ივლისის ჩათვლით. ამჟამად ლიცენზიის მოქმედების ვადა გასულია, თუმცა კომპანიას ლიცენზიის ვადაში წიაღისეული მოპოვებული და

დასაწყობებული აქვს საწარმოს ტერიტორიაზე და ახორციელებს ეტაპობრივად გადამუშავებას.

ტექნოლოგიური ციკლის შესაბამისად: ნედლეული შემოიზიდება ავტოთვიმცლელელებით და დასაწყობდება ნედლეულის ღია საწყობზე, საიდანაც დამტვირთელის მეშვეობით ჩაიყრება მიმღებ ბუნკერში. მიმღები ბუნკერიდან მიეწოდება ყბებიან სამსხვრეველას, დამსხვრეული ნედლეული ლენტრული ტრანსპორტიორით მიეწოდება ვიბროცხავს. აქვე მიეწოდება წყალი და ხდება რეცხვა. განარეცხი მასა - ქვიშა ღარის მეშვეობით ხვდება კლასიფიკატორში და თავსდება სველი სილის დროებით სანაყაროზე, ვიბროცხავიდან გარეცხილი მასა ლენტური ტრანსპორტიორით (მსხვილი ზომის ნედლეული) მიეწოდება როტორულ სამსხვრეველას, სამსხვრევიდან დამტვირთელი ქვა მიეწოდება მბრუნავ ვიბროცხავზე მბრუნავი ვიბროცხავი შედგება სამი სხვა და სხვა ზომის ცხაურისაგან. პირველად დამაგრებულია 0-8მმ იანი ზომის ცხაური, შუაში 8-12 მმ -იანი და ბოლოს 12-18 მმ -იანი. დამსხვრეული ქვის საცერში გავლის დროს საცერი ბრუნავს დაბალი სიჩქარით, პირველი განყოფილებიდან გამოიყოფა 0-8მმ მმ ფრაქცია, მეორედან 8-12 მმ მმ, მესამედან 2-18 მმ მმ -იანი. ვიბროსაცერიდან ჩამოყრილი სამი ფრაქციის მზა პორდუქცია გადაიტანება პორდუქციის შესაბამის ღია საწყობებზე. სულ არის 4 სანაყარო: 0-8მმ, ფრაქციის 8-12მმ, ფრაქციის, 12-18მმ ფრაქციის და ქვიშის სანაყარო.

4. საწარმოს ნედლეულით მომარაგება

საწარმოში ნედლეულის შემოტანა და პროდუქციის გატანა განხორციელდება ავტოტრანსპორტით. საწარმოს ტერიტორიაზე მისასვლელი გზა არ გადის დასახლებულ პუნქტზე. საწარმო ცენტრალურ ავტომაგისტრალს (თბილისი-სენაკი-ლესელიძე). უკავშირდება 3კმ სიგრძის გრუნტის გზით.

საწარმოს საპორექტო წარმადობა საათში არის 20მ³-ს, რაც საშუალოდ შეადგენს საათში 2-3 გადაზიდვას და 15 გადაზიდვას დღეში. საწარმომდე მისასვლელი გზების კატეგორიების შესაბამისად გადაზიდვის აღნიშნული ინტენსივობა მნიშვნელოვან გავლენას ვერ მოახდენს სატრანსპორტო ნაკადზე. ასევე, პორდუქციის ტრანსპორტირება განხორციელდება საფარველით აღჭურვილი ავტოტრანსპორტით. საჭიროების შემთხვევაში მოხდება გზების მორწყვა.

ქვიშა-ხრემის კარიერიდან მანძილი შპს „რასეტი“-ს საწარმომდე შეადგენს 3 კმ-ს. კარიერიდან საწარმოში ნედლეულის ტრანსპორტირებისათვის გამოყენებული იქნება საწარმომდე მისასვლელი გრუნტის გზა.

საწარმოდან პროდუქციის გატანა განხორციელდება ავტოტრანსპორტით. ნედლეულის ტრანსპორტირებისთვის გამოყენებული იქნება ასევე საწარმომდე მისასვლელი გრუნტის

გზა და ცენტრალურ ავტომაგისტრალი (თბილისი-სენაკი-ლესელიძე). საწარმოს ტერიტორიაზე მისასვლელი გრუნტის გზა არ გადის დასახლებულ პუნქტზე.

შპს „რასეტი“ ნედლეულის ქვიშა-ხრეშის მოპოვებას და საწარმოში გადასამუშავებლად შემოტანას ახორცილებდა კომპანია შპს „კენჭი“-ის(ს/კ 444959109) ლიცენზირებული კარიერიდან კომპანიებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

შპს „კენჭი“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშის მიმდებარე ტერიტორიაზე ფლობს სასარგებლო წიაღისეულის (მდ. რიონის ქვიშა-ხრეშის) მოპოვების N 10104723 ლიცენზიას. (იხ. ხელშეკრულება 2021 წლის 01 ივნისი). ლიცენზიის მოქმედების ვადაა 2017 წლის 21 ივლისიდან 2022 წლის 22 ივლისის ჩათვლით. ამჟამად ლიცენზიის მოქმედების ვადა გასულია, თუმცა კომპანიას ლიცენზიის ვადაში წიაღისეული მოპოვებული და დასაწყობებული აქვს საწარმოს ტერიტორიაზე და ახორციელებს ეტაპობრივად გადამუშავებას.

5. საწარმოს წყალმომარაგება, კანალიზაცია და ჩამდინარე წყლების არინება

შპს „რასეტის“ ქვიშა-ხრეშის სამსხვრევ საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ესაჭიროება სასმელ-სამეურნეო და ტექნიკური წყლით მომარაგება.

საწარმოო დანიშნულებით წყალაღება ხდება საპროექტო ტერიტორიის სამხრეთით უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტიდან - „ქუთაისის არხი“ -დან ხელშეკრულების საფუძველზე (იხ ხელშეკრულება დანართში).

„ ქუთაისის არხი“ წარმოადგენს სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშის და მის შემოგარენ ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დატბორვის თავიდან აცილების მიზნით ატმოსფერული და მიწისქვეშა ფილტრაციული წყების სადრენაჟო არხს - „ქუთაისის არხი“. რომელიც გაკეთებულია წლების წინ. არხი გადის მდ. რიონის მარჯვენა სანაპიროს მიმდებარე ტერიტორიაზე , კერძოდ- ვარციხეჰესის N4 სადერივაციო არხის გასწვრივ.

წყალაღების წერტილის GPS კოორდინატებია: X-290835, Y-4668475, სადაც მოწყობილია სატუმბი სადგური. წყალაღება მოხდება წყალაღების ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად. ტუმბოს პარამეტრებია: 25 კვტ-იანი, მაქსიმალური წარმადობა - 60მ³ . წყალაღების მილის დიამეტრია 100მმ. წყალაღების წერტილიდან წყლის მისაყვანი მილის სიგრძე საპროექტორ ტერიტორიამდე (დანადგარამდე) შეადგენს 130 მ-ს.

ობიექტის მომსახურე პერსონალის რაოდენობა შეადგენს 11 კაცს. თხევადი ნარჩენების მოცულობა 1 კაცზე შეადგენს დღე-ღამეში 0,02 მ³, ხოლო წელიწადში 0,22 მ³ -ს.

შესაბამისად საწარმოში მოწყობილია ორგანოფილებიანი ასენიზაციის ამოსაწმენდი ბეტონირებული ორმო, რომლიდანაც თხევადი ნარჩენების გატანა მოხდება ასენიზაციის მანქანით ხელშეკრულების საფუძველზე.

საყოფაცხოვრებო დანიშნულების წყალი შემოიტანება გადასატანი რეზერვუარების საშუალებით, როგორც დასახლებული პუნქტის წყალსადენიდან, ასევე საცალო ვაჭრობის ქსელიდან.

საწარმოო მიზნით წყლის გამოყენება მოხდება ქვიშა-ხრემის სველი მეთოდით მსხვრევა-დახარისხებისათვის. დაგეგმილი წარმადობისა და ტექნოლოგიური რეჟიმის შესაბამისად, საწარმოსათვის ტექნიკური წყლის საჭირო საათური ხარჯი იქნება 40მ³, დღეში - 320 მ³, წელიწადში საჭირო წყლის რაოდენობა იქნება: 92 160 მ³/წელ.

საწარმოს ოპერირებისას მოსალოდნელია სასმელ-სამეურნეო და საწარმოო ჩამდინარე წყლების წარმოქმნა. ვინაიდან საპროექტო ტერიტორიაზე არ არის საკანალიზაციო ქსელი, ამიტომ კომპანიის საყოფაცხოვრებო-სამეურნეო ჩამდინარე წყლების შეკრება მოხდება ორგანოფილებიან საასენიზაციო ორმოში, რომლის გაცლაზე მომსახურება მოხდება ხელშეკრულების საფუძველზე.

საწარმოო ჩამდინარე წყლებისთვის პროექტით გათვალისწინებულია სამსაფეხურიანი გამწმენდი ნაგებობის მოწყობა, რომლის საერთო მოცულობა იქნება 500მ³. სალექარის გავლის შემდეგ ჩამდინარე წყალი ჩაშვებული იქნება გამყვანი კოლექტორით „ქუთაისის არხში“ ჩაშვების წერტილის GPS კოორდინატია: X-290819, Y-4668482. საწარმოო ჩამდინარე წყლები დაბინძურებულია შეწონილი ნაწილაკებით, ამ წყლების გაწმენდა მოხდება სამსაფეხურიანი სალექარით, რომელიც მოეწყობა საწარმოს ტერიტორიაზე. სალექარის საშუალებით მოხდება როგორც საწარმოო წყლის, ასევე ტერიტორიაზე მოგროვილი სანიაღვრე წყლების ჩადინება, დაყოვნება, გაწმენდა და „ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლების ტექნიკური რეგლამენტის“ მოთხოვნების შესაბამისად შემდგომ მისი მდინარეში ჩაშვება.

საწარმოოდ მოხმარებული წყლის უმეტესი ნაწილის დაახლოებით 75% გადადის ჩამდინარე წყალში, რომლის ნაწილი პირდაპირ ჩაედინება სალექარში და ნაწილი მზა პროდუქციის სანაყაროებიდან დაწრეტილი იგივე სალექარში. საწარმოს ექსპლუატაციის პერიოდში მოსალოდნელი წყალჩაშვება სამსხვევის ფუნქციონირებისას წლის განმავლობაში იქნება 69120 მ³. საწარმოს ტერიტორიაზე ატმოსფერული ნალექების შედეგად წარმოქმნილი სანიაღვრე ჩამდინარე წყლების მოცულობა დამოკიდებულია ატმოსფერული ნალექების რაოდენობაზე და ტერიტორიის ზედაპირის მახასიათებელ პარამეტრებზე. არსებული მეთოდოლოგიით სანიაღვრე წყლების მოცულობა იანგარიშება ფორმულით:

$$Q=10xFxHxK$$

სადაც,

Q - სანიაღვრე წყლების მოცულობა მ³/დღე

F - ტერიტორიის ფართობი ჰა-ში, მიღებულია 0,50 ჰა

H - ნალექების წლიური მაქსიმალური რაოდენობა (სამტრედიის რაიონში ნალექების წლიური მაქსიმალური რაოდენობა 1000—1500 მმ წელიწადში, საათური მაქსიმუმი 11მმ)

K- კოეფიციენტი რომელიც დამოკიდებულია საფარის ტიპზე, რაც მოცემულ შემთხვევაში ხრეშის საფარისთვის აღებულია 0,04.

გათვლების შედეგები შემდგენიარია:

$$Q_{წელ} = 10 \times 0,50 \times 1500 \times 0,04 = 300 \text{ მ}^3/\text{წელ}$$

$$Q_{სთ} = 10 \times 0,50 \times 15 \times 0,04 = 3,0 \text{ მ}^3/\text{სთ}$$

ჯამური წყლის ჩაშვება სალექარში დამუშავებული მასალისა და წლიური მაქსიმალური სანიაღვრე წყლების წარმოქმნის გათვალისიწინებით იქნება $69 \cdot 120 + 300 = 69 \cdot 420 \text{ მ}^3/\text{წელ}$. გამწმენდი ნაგებობის (სალექარის) პარამეტრები გათვლილი იქნება მაქსიმალურ წარმადობაზე, რომელიც იქნება $450 \text{ მ}^3/\text{დღეში}$. (იხ. დანართი სალექარის სქემა).

სალექარის გავლის შემდეგ გაწმენდილი ჩამდინარე წყლები ჩაშვებული იქნება გამყვანი კოლექტორით „ ქუთაისის არხი“. ჩაშვების წერტილის GPS კოორდინატია: X-290819, Y-4668482. კოლექტორის მილის დიამეტრია 200 მმ, მილის სიგრძე სალექარიდან ჩაშვების წერილამდე 270 მ .

საწარმოო წყლის მექანიკური გაწმენდის შემდეგ, შეწონილი ნაწილაკების კონცენტრაცია ჩამდინარე წყალში არ უნდა აღემატებოდეს 60 მგ/ლ-მდე . ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნის მიხედვით დგინდება მოცემულ შემთხვევაში ჩამდინარე წყლების ხარისხის ტიპური მაჩვენებელი: $60 \text{ მგ/ლ} \times 60 \text{ მ}^3/\text{სთ} = 1200 \text{ გრ/სთ}$. შესაბამისად შეწონილი ნაწილაკების წლიური ჩაშვებული რაოდენობა იქნება:

$$Q_{წელ} = 1200 \times 2400 = 2 \cdot 880 \cdot 000 \text{ გრ/წელ} = 2,88 \text{ ტ/წელ}$$

სალექარის ეფექტურობის ანგარიში

საპროექტო სალექარის პარამეტრებია $21 \text{ მ} \times 7 \text{ მ} \times 3,4 \text{ მ}$; მიმდინარეობს სალექარის პროექტის დამუშავება. ეფექტურობის დასაბუთების მიზნით წარმოდგენილია სალექარის ეფექტურობის გაანგარიშება.

საპროექტო სალექარის გაწმენდის ხარისხის შეფასებისათვის გამოყენებულია პრაქტიკული გაზომვით მიღებული მონაცემები. სალექარის ეფექტურობა და ანგარიში გათვალისიწინებულია შეწონილი ნაწილაკების დალექვაზე, რომლის ჰიდრაულიკური ზომაა $0,3 \text{ მმ/წმ}$ და მეტი.

წყლის სარკის ზომის გამოსათვლელი ფორმულაა $F = Q/q$

სადაც Q - არის მოდინებული წყლის რაოდენობა და აღებული იქნება მოხმარებული წყლის რაოდენობა ანუ $40 \text{ მ}^3/\text{სთ}$ _ში,

q- არის საანგარიშო დატვირთვა ჩამდინარე წყლების დ შეესაბამება დალექილი ნაწილაკების ჰიდრაულიკურ სიდიდეს.

სალექარიდან გადინებული წყლის სიჩქარე გაიანგარიშება ფორმულით:

$$V = Q / (B + H + 3600) \text{ (მ/წმ)}$$

სადაც B - არის სალექარში წყლის სარკის სიგანე (7მ)

H - არის სალექარის სირღმე (3,4მ)

შესაბამისად ,

$$V = 40/3,4 \times 7 \times 3600 = 0.0016 \text{ მ/წმ}$$

დალექვის დრო გაიანგარიშება ფორმულით:

$$t = L/V$$

სადაც,

L = არის საანგარიშო სალექარის სიგრძე (21მ)

შესაბამისად, $t = 21/0.0016 \text{ მ/წმ} = 13125/3600 \text{ წმ} = 3,64 \text{ სთ}$

შეწონილი ნაწილაკების ჰიდრავლიკური სიდიდის დადგენა, რომელიც გაიანგარიშება ფორმულით: $U_0 = H + tw/t$

სადაც,

H - სალექარის გამდინარე წყლის სიჩქარე 3,4მ

W - არის შემადგენელი ვერტიკალური სიჩქარე და უდრის 0-ს

შესაბამისად, $U_0 = 3,4 + 13125 + 0/13125 = 1,00 \text{ მ/წმ} = 0,1 \text{ მმ/წმ}$

აქედან გამომდინარე 21/7/3,4 პარატმეტრების მქონე სალექარი წმენდს 2000მგ/-მდე შეწონილი ნაწილაკებით დაბინძურებულ წყალს.

6. საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში გარემოზე შესაძლო ზემოქმედება

საქმიანობის განხორციელებისას გარემოზე შესაძლო ზემოქმედების სახეებია: ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერების (მტვრის) გამოყოფა დაბინძურების სტაციონალური წყაროდან, ხმაური და ვიბრაცია, საწარმოო და საყოფაცხოვრებო ნარჩენები, ზემოქმედება ლანდშაფტზე.

გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ზემოქმედება შეიძლება გამოიხატოს: ატმოსფერული ჰაერის ხარისხობრივი მდგომარეობის გაუარესებით, ხმაურის გავრცელებით, ნიადაგის ზედაპირული და მიწისიქვეშა წყლების შესაძლო დაბინძურებით, ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედებით, ნარჩენების მართვის პროცესში მოსალოდნელი ზემოქმედებით და სხვა. რისკების შეფასების დროს გათვალისწინებული იქნა საპროექტო საწარმო ტერიტორიის განთავსება, უახლოესი საცხოვრებელი სახლის და სხვა სამრეწველო და ინფრასტრუქტურული ობიექტების მდებარეობა.

საწარმოს ფუნქციონირებით არ არის მოსალოდნელი ლანშაფტზე და ბიოლოგიურ გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება.

საწარმოს ინფრასტრუქტურა განთავსებულია ვაკე ადგილზე. ტერიტორია მთლიანად დაფარულია ინერტული მასალით და ნიადაგის ნაყოფიერი ფენა არ არსებობს. საპროექტო ტერიტორია მოხრეშილია და მცენარეული საფარი პრაქტიკულად არ ფიქსირდება.

ტრანსპორტის გადაადგილება განხორციელდება მხოლოდ არსებული მოწყობილი გზებით, შესაბამისად ახალი გზის მოწყობა ან/და მცენარეული საფარის მოხსნა

საჭიროებას არ წარმოადგენს. სატრანსპორტო ნაკადზე იმოქმედებს საწარმოს ტერიტორიიდან ნედლეულის - ქვიშა-ლორღის გატანა/რეალიზაცია, რაც საწარმოს სრული საპროექტო სიმძლავრით მუშაობის შემთხვევაში ერთ სამუშაო დღეში შეადგენს 15 რეისის განხორციელებას. პროდუქციის ტრანსპორტირებისათვის საწარმო გამოიყენებს საავტომობილო და საწარმომდე მისასვლელ გრუნტის გზას, რომლის მდგომარეობის შენარჩუნებას უზრუნველყოფს კომპანია. ასევე ტრანსპორტირება განხორციელდება საფარებით აღჭურვილი ავტოტრანსპორტით. საჭიროების შემთხვევაში ამტვერების თავიდან ასაცილებლად მოხდება გრუნტის გზის მორწყვა.

საწარმოს ფუნქციონირებისას ზემოქმედება ხორციელდება ატმოსფერულ ჰაერზე ინერტული მასალის სამსხვრევი საამქროს მუშაობის შედეგად. ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა მხოლოდ ინერტული მასალის მტვერი, რომელიც არ მიეკუთვნება საშიშ ან ტოქსიკურ ნივთიერებას, ამავე დროს საწარმოს სიახლოვეს არ არის საცხოვრებელი სახლი და დაწესებულებები.

საწარმოს ფუნქციონირებისას ხმაურის გამომწვევი დანადგარი არის როტორული სამსხვრევი, რომელსაც აქვს გარკვეული ხმაური, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ საწარმო უახლოესი საცხოვრებელი სახლიდან დაშორებულია 0,52 კმ-ით, ამ მანძილზე ხმაურის გავლენა იქნება უმნიშვნელო.

საწარმოს ტექნოლოგიური პროცესის დროს ნარჩენები არ წარმოიქმნება, ნედლეული უნარჩენოდ გარდაიქმნება პროდუქციად.

ნარჩენების წარმოქმნა მოსალოდნელია მანქანა-დანადგარების შეკეთების დროს და მუშა მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო ოთახში.

მოწყობილობების შეკეთების დროს შესაძლებელია წარმოიქმნას არასახიფათო და სახიფათო ნარჩენები, ზეთით დაბინძურებული საწმენდი ნაჭრები ან სათადარიგო ნაწილები. ნარჩენებით გარემოს დაბინძურება მოსალოდნელია მისი არასათანადო მართვით, საყოფაცხოვრებო და სხვა ნარჩენების გარემოში დაყრით და გაფანტვით.

სახიფათო ნარჩენებიდან წელიწადში მოსალოდნელია 200 კგ ნარჩენი ზეთის წარმოქმნა (სამსხვრევეებს გააჩნიათ ზეთის რეზერვუარები სადაც ზეთის გამოცვლა ხდება წელიწადში ერთხელ). ნამუშევარი ზეთების დროებითი შენახვის მიზნით მოეწყობა სახიფათო ნარჩენების საცავი, სადაც განთავსდება ლითონის კასრებში მოთავსებული ნარჩენი ზეთი. შემდგომი მართვის მიზნით გადაცემული იქნება სათანადო ნებართვის მქონე კონტრაქტორებზე.

საწარმოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების შესაგროვებლად დაიდგმება სპეციალური კონტეინერები, ხოლო მათი გატანა მოხდება ადგილობრივი კომუნალური სამსახურის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე.

7. ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე

საწარმოს ფუნქციონირების პროცესში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროს წარმოადგენს ქვიშა-ხრეში სამსხვრევ-დამახარისხებელი დანადგარები.

ქვიშა-ხრეშის მსხვრევის პროცესი იწარმოებს სველი მეთოდით. ამის გამო უმნიშვნელოა მტვრის წარმოქმნა, როგორც სამუშაო ადგილზე ასევე ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევა.

ქვის მსხვრევისა და დახარისხების პროცესში ატმოსფეროში გამოიყოფა არაორგანული მტვერი SiO₂-ის 20% -მდე შემცველობით.

მტვრის გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროდ შეიძლება ჩაითვალოს ყველა ტექნოლოგიური პროცესი და დანადგარი. სამშენებლო მასალების წარმოებისას არაორგანიზებული გაფრქვევის წყაროებიდან გაფრქვევის გაანგარიშების ნეთოდური მითითებების შესაბამისად 3%-ზე მეტი ტენიანობის მქონე ქვიშისა და 20%-ზე მეტი ტენიანობის მასალების სხვა შემთხვევაში გაფრქვევები უნდა ჩაითვალოს 0-ს ტოლად. ამის გათვალისწინებით გაფრქვევის გაანგარიშება არ მოხდება ვიბროცხავისა და კლასიფიკატორის მუშაობისას და ქვიშის ბაქანზე განთავსებისას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მტვრის გამოყოფის და გაფრქვევის წყაროებს წარმოადგენს:

- ნედლეულის განთავსება ღია საწყობზე
- გაფრქვევა ნედლეულის ღია საწყობიდან
- ნედლეულის ჩაყრა მკვებავ ბუნკერში
- მკვებავიდან ტრანსპორტიორზე ჩამოტვირთვა
- როტორული მსხვრევანა
- ლენტური ტრანსპორტიორით გადადგილება
- მბრუნავი ვიბროცხავი

გაფრქვევა მიღებული პროდუქციის ღია საწყობებიდან

8. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა სახეობები და მათი მახასიათებელი სიდიდეები

საწარმოს ტერიტორიაზე მოქმედებს ქვიშა-ხრეშის გადამამუშავებელი ერთი ხაზი. საწარმოს საქმიანობის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გამოიყოფა ინერტული მასალის მტვერი (არაორგანული მტვერი) ამ ნივთიერების კოდი და ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია მოცემულია ცხრილში N 2

ცხრილი 2. ნივთიერებების მახასიათებელი სიდიდეები

| კოდი | მავნე ნივთიერებათა დასახელება | ზღვრული დასაშვები კონცენტრაცია მგ/მ ³ | | მავნე ნივთიერებათა საშიშროების კლასი |
|------|-------------------------------|--|--------------------|--------------------------------------|
| | | მაქსიმალური ერთჯერადი | საშუალო დღე-ღამური | |
| 2908 | მტვერი (არაორგანული) | 0,5 | 0,15 | 3 |

საწარმოში იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის შემდეგი წყაროები:

1. ნედლეულის (ქვიშა-ხრეშის) განთავსება ღია საწყობზე (გ-1 წყარო)
2. გაფრქვევა ნედლეულის (ქვიშა-ხრეში) საწყობიდან (გ-2 წყარო)
3. ნედლეულის მიმღებ ბუნკერში ჩაყრა (გ-3 წყარო)
4. ყბებიანი სამსხვრევი (გ-4 წყარო)
5. გაფრქვევა ლენტური ტრანსპორტიორიდან (გ-5 წყარო)
6. როტორული სამსხვრევი (გ-6 წყარო)
7. ლენტური ტრანსპორტიორი (გ-7 წყარო)
8. ვიბრაციული დამხარისხებელი (გ-8 წყარო)
9. ლენტური ტრანსპორტიორი (გ-9, გ-10, გ-11, გ-12 წყარო)
10. მზა პროდუქციის (ქვიშა-ღორღის) ჩამოყრა 0-8 მმ ფრაქცია (გ-13 წყარო)
11. მზა პროდუქციის (ქვიშა-ღორღის) ჩამოყრა 8-12 მმ ფრაქცია (გ-14 წყარო)
12. მზა პროდუქციის (ქვიშა-ღორღის) ჩამოყრა 12-18 მმ ფრაქცია (გ-15 წყარო)
13. გაფრქვევა მზა პროდუქციის (ქვიშა-ღორღის) ღია საწყობიდან 0-8 მმ ფრაქცია (გ-16 წყარო)
14. გაფრქვევა მზა პროდუქციის (ქვიშა-ღორღის) ღია საწყობიდან 8-12 მმ ფრაქცია (გ-17 წყარო)
15. გაფრქვევა მზა პროდუქციის (ქვიშა-ღორღის) ღია საწყობიდან 12-18 მმ ფრაქცია (გ-18 წყარო)
16. გაფრქვევა მზა პროდუქციის (ქვიშის) ღია საწყობიდან 0-8 მმ ფრაქცია (გ-19 წყარო)

9. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევის რაოდენობის ანგარიში

საწარმოს მიერ ატმოსფეროში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიში მოხდა „დაბინძურების სტაციონალური წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მეთოდის, დაბინძურების სტაციონალური წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის დამდგენი სპეციალური გამზომ-საკონტროლო და აპარატურის სტანდარტული ჩამონათვალისა და დაბინძურების სტაციონალური წყაროებიდან ტექნოლოგიური პროცესების მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის საანგარიშო მეთოდის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის (საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის დადგენილება N435) მიხედვით“.

➤ ნედლეულის (ქვიშა-ხრემის) ღია საწყობზე (გ-1 წყარო) განთავსებისას ატმოსფერულ ჰაერში გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება ფორმულით:

$$M_{\text{ატვრ}} = k_1 \times k_2 \times k_3 \times k_4 \times k_5 \times k_7 \times k_9 \times G \times B \times 10^6 / 3600 \text{ გ/წმ}$$

სადაც

K_1 - მასალაში მტვრის ფრაქციის წილია

K_2 - მტვრის მთლიანი მასიდან აეროზოლში გადასული მტვრის წილია;

K_3 - მტვრის წარმოქმნაზე ქარის სიჩქარის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტია;

K_4 - გარეშე ზემოქმედებისგან საწყობის დაცვითუნარიანობის მახასიათებელი კოეფიციენტია;

K_5 - მტვრის წარმოქმნაზე მასალის სინოტივის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტია;

K_7 - გადასამუშავებელი მასალის ზომების მახასიათებელი კოეფიციენტია;

K_9 - შემასწორებელი კოეფიციენტი, ავტოთვითმცლელეებიდან 10 ტონამდე წონის მასალის ზალპური ჩამოცლისას აიღება 0,2, 10 ტ-ზე მეტის შემთხვევაში აიღება 01, სხვა შემთხვევაში იგი აიღება 1 -ს ტოლი.

B - გადატვირთვის სიმაღლეზე დამოკიდებულების კოეფიციენტი;

G - წარმადობა 32 ტ/სთ-ში

აღნიშნული კოეფიციენტებისა და სიდიდეების მნიშვნელობები აიღება მეთოდულ კოეფიციენტებისა და სიდიდეების მნიშვნელობები აიღება მეთოდულ კოეფიციენტების მნიშვნელობები შემდეგია:

საანგარიშო კოეფიციენტების მნიშვნელობები შემდეგია:

$K_1 - 0,05$; $K_2 - 0,03$; $K_3 - 1,2$; $K_4 - 1,0$; $K_5 - 0,01$; $K_7 - 0,4$; $K_9 - 0,1$; $B - 0,5$; $G - 32 \text{ ტ/სთ}$

აღნიშნული მნიშვნელობების ჩასმით გაფრქვეული მტვრის წლიური და წამური ინტენსივობა იქნება:

$$M = 0,05 \times 0,03 \times 1,2 \times 1,0 \times 0,01 \times 0,4 \times 0,1 \times 0,5 \times 32 \times 10^6 / 3600 = 0,0032 \text{ გ/წმ}$$

$$G = 0,0032 \times 2304 \times 3600 / 10^6 = 0,0265 \text{ ტ/წელ}$$

➤ გაფრქვევის ანგარიში ნედლეულის (ქვიშა-ხრემის) საწყობიდან (გ-2 წყარო)

წარმოქმნილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება ფორმულით:

$$M_{\text{ატვრ}} = k_3 \times k_5 \times k_6 \times k_7 \times q \times f \text{ გ/წმ}$$

სადაც

$K_3 = 1,2$ - მტვრის წარმოქმნაზე ქარის სიჩქარის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტია;

$K_5 = 0,1$ - მტვრის წარმოქმნაზე მასალის სინოტივის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტია;

$K_6 = 1,45$ - დასასაწყობებელი მასალის ზედაპირის პროფილის მაჩვენებელი კოეფიციენტია და მერყეობს 1,3-დან 1,6-მდე

$K_7 = 0,4$ გადასამუშავებელი მასალის ზომების მახასიათებელი კოეფიციენტია;

$q = 0,002$ - მტვრის წატაცების ინტენსივობაა 1კვ.მ ფაქტიური ზედაპირის ფართობიდან გ/მ² წმ

$f = 400 \text{ მ}^2$ - ამტვერების ზედაპირის ფართობი

ამ მონაცემების მიხედვით: გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იქნება :

$$M_{\text{მტვ}} = 1.2 \times 0.1 \times 1.45 \times 0.4 \times 0.002 \times 400 = 0.055 \text{ გ/წმ}$$

$$G_{\text{მტვ}} = 0.055 \times 8760 \times 3600 / 10^6 = 1,755 \text{ ტ/წელ}$$

- ნედლეულის მიმღებ ბუნკერში ჩაყრისას (გ-3 წყარო) გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება გ-1 წყაროს ანალოგიურად:

საანგარიშო კოეფიციენტების მნიშვნელობები შემდეგია:

$$K_1 - 0,05; K_2 - 0,03; K_3 - 1,2; K_4 - 1,0; K_5 - 0,01; K_7 - 0,4; K_9 - 0,1; B - 0,4; G - 32 \text{ ტ/სთ}$$

ამ მონაცემების მიხედვით: გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იქნება :

$$M = 0,05 \times 0,03 \times 1,2 \times 1,0 \times 0,01 \times 0,4 \times 1 \times 0,4 \times 32 \times 10^6 / 3600 = 0,0256 \text{ გ/წმ}$$

$$G = 0,0256 \times 2304 \times 3600 / 10^6 = 0,212 \text{ ტ/წელ}$$

- გაფრქვევა ყბებიანი სამსხვრევიდან (გ-4 წყარო) გაფრქვევის გაანგარიშება ხორციელდება ფორმულით:

$$G_{\text{მტ}} = G_{\text{საშ.}} \times g \times N \times t \times k / 10^3$$

სადაც $G_{\text{საშ.}}$ არის გადასამუშავებელი მასალის რაოდენობა რომელიც ტოლია 72 728 ტ/წელ. მტვრის გამოყოფის ხვედრითი მაჩვენებელი 1ტ მასალის (პირველადი) მსხვრევისას შეადგენს 0,009კგ/ტ. წელიწადში საწარმოს სამუშაო საათების რაოდენობის მიხედვით (288დღე/წელ X 8სთ = 2304სთ) მივიღებთ:

$$G = 72\,728 \times 0,009 \times 0,4 / 10^3 = 0,261 \text{ ტ/წელ}$$

$$M = 0,261 \times 10^6 / 2304 \times 3600 = 0,0315 \text{ გ/წმ}$$

- მტვრის გაფრქვევის ანგარიში ინერტული მასალის ლენტური სტრანსპორტიორით გადადგილებისას (გ-5 წყარო, გ-7, გ-9, გ-10, გ-11, გ-12)

ინერტული მასალის ლენტური ტრანსპორტიორით გადაადგილებისას მტვრის გაფრქვევა იანგარიშება ფორმულით:

$$M_{\text{მტვ}} = W \times K \times B \times L \times 10^3 \text{ გ/წმ}$$

სადაც,

W - ჰაერის შებერვით გამოწვეული მტვრის ხვედრითი გაფრქვევა და ტოლია 3×10^{-5} კგ/მ² წმ

K- ნედლეულის დაქუცმაცების კოეფიციენტი და ტოლია 0,1მ -ის

B - ლენტის სიგანეა და მოცემულ შემთხვევაში ტოლია 0,5 მ-ის

L - ლენტის ჯამური ისგრძე და მოცემულ შემთხვევაში ტოლია 60 მ

სათანადო მნიშვნელობების ჩასმით

$$M_{\text{მტვ}} = 3 \times 10^{-5} \times 0,1 \times 0,5 \times 60 \times 10^3 = 0,0900 \text{ გ/წმ}$$

$$G_{\text{მტვ}} = 0,0900 \times 2304 \times 3600 / 10^6 = 0,746 \text{ ტ/წელ}$$

- გაფრქვევის ანგარიში როტორული სამსხვრევიდან (გ-6 წყარო)

გაფრქვევის გაანგარიშება ხორციელდება ფორმულით:

$$G_{გ6} = G_{საშ.} \times g \times N \times t \times k / 10^3$$

სადაც $G_{საშ.}$ არის გადასამუშავებელი მასალის რაოდენობა რომელიც ტოლია 32ტ/წელ. მტვრის გამოყოფის ხვედრითი მაჩვენებელი 1ტ სველი მასალის მსხვრევისას შეადგენს 0,0045კგ/ტ. წელიწადში საწარმოს სამუშაო საათების რაოდენობის მიხედვით (288დღე/წელ X8სთ = 2304სთ) მივიღებთ:

$$G = 32 \times 2304 \times 0,0045 / 10^3 = 0,331 \text{ ტ/წელ}$$

$$M = 0,0331 \times 10^6 / 2304 \times 3600 = 0,00399 \text{ გ/წმ}$$

- გაფრქვევის ანგარიში მბრუნავი ვიბროცხავიდან (გ-8 წყარო) გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება ფორმულით:

$$M_{გ8} = k_1 \times k_2 \times k_3 \times k_4 \times k_5 \times k_7 \times k_9 \times G \times B \times 10^6 / 3600 \text{ გ/წმ}$$

სადაც, აღნიშნული კოეფიციენტებისა და სიდიდეების მნიშვნელობები საწარმოს კონკრეტული პირობებისათვის აიღება მეთოდიკებში მოცემული დანართებიდან.

საანგარიშო კოეფიციენტების მნიშვნელობები შემდეგია:

$$K_1 - 0,03 ; K_2 - 0,04 ; K_3 - 1,2 ; K_4 - 0,2 ; K_5 - 1,0 ; K_7 - 0,4 ; K_9 - 1 ; B - 0,4 ; G - 32 \text{ ტ/სთ.}$$

აღნიშნული მნიშვნელობების ჩასმით მივიღებთ:

$$M_{გ8} = 0,03 \times 0,04 \times 1,2 \times 0,2 \times 1,0 \times 0,4 \times 1 \times 0,4 \times 32 \times 10^6 / 3600 = 0,409 \text{ გ/წმ}$$

$$G_{გ8} = 0,409 \times 2304 \times 3600 / 10^6 = 3,392 \text{ ტ/წელ.}$$

- მზა პროდუქციის (ქვიშა-ღორღის) ჩამოყრა ღია საწყობზე (გ-13 წყარო, გ-14 წყარო, გ-15 წყარო)

გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება გ-1 წყაროს ანალოგიურად:

საანგარიშო კოეფიციენტების მნიშვნელობები შემდეგია:

$$K_1 - 0,04 ; K_2 - 0,02 ; K_3 - 1,2 ; K_4 - 1,0 ; K_5 - 0,01 ; K_7 - 0,4 ; K_9 - 1 ; B - 0,4 ; G - 32 \text{ ტ/სთ}$$

$$M = 0,04 \times 0,02 \times 1,2 \times 1,0 \times 0,01 \times 0,4 \times 1 \times 1,0 \times 32 \times 10^6 / 3600 = 0,0341 \text{ გ/წმ}$$

$$G = 0,0341 \times 2304 \times 3600 / 10^6 = 0,283 \text{ ტ/წელ}$$

ანალოგიურია ანგარიშის გ-14, და გ-15 წყაროსათვის

- გაფრქვევა მიღებული პროდუქციის (ქვიშა და ღორღი) ღია საწყობებიდან (გ-16, გ-17, გ-18, გ-19 წყარო) მიღებული პროდუქციის საწყობებიდან (ქვიშა, ღორღი) გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება ფორმულით:

$$M_{გგ} = k_3 \times k_5 \times k_6 \times k_7 \times q \times f \text{ გ/წმ} \quad \text{სადაც,}$$

ლორღისთვის: (გ-16 და გ-17, გ-18 წყარო)

$K_3 = 1,2$ - მტვრის წარმოქმნაზე ქარის სიჩქარის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტი;

$K_5 = 1,0$ - მტვრის წარმოქმნაზე მასალის სინოტივის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტი;

$K_6 = 1,2$ - დასასაწყობებელი მასალის ზედაპირის პროფილის მაჩვენებელი კოეფიციენტი და მერყეობს 1,3-დან 16-მდე

$K_7 = 0,4$ გადასამუშავებელი მასალის ზომების მახასიათებელი კოეფიციენტი;

$q = 0,002$ - მტვრის წატაცების ინტენსივობაა 1კვ.მ ფაქტიური ზედაპირის ფართობიდანგ/მ² წმ

$f = 100$ მ² - ამტვერების ზედაპირის ფართობი

ამ მონაცემების მიხედვით: გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იქნება :

$$M_{\text{მტვრ}} = 1,2 \times 1,0 \times 1,2 \times 0,4 \times 0,002 \times 100 \times 0,4 = 0,046 \text{ გ/წმ}$$

$$G_{\text{მტვრ}} = 0,046 \times 8760 \times 3600 / 10^6 = 1,453 \text{ ტ/წელ}$$

ანალოგიური იქნება ანგარიში გ-17 და გ-18 წყაროსთვის

ქვიშისთვის: (გ- 19 წყარო)

$K_3 = 1,2$ - მტვრის წარმოქმნაზე ქარის სიჩქარის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტი;

$K_5 = 0,1$ - მტვრის წარმოქმნაზე მასალის სინოტივის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტი;

$K_6 = 1,2$ - დასასაწყობებელი მასალის ზედაპირის პროფილის მაჩვენებელი კოეფიციენტი და მერყეობს 1,3-დან 16-მდე

$K_7 = 0,6$ გადასამუშავებელი მასალის ზომების მახასიათებელი კოეფიციენტი;

$q = 0,002$ - მტვრის წატაცების ინტენსივობაა 1კვ.მ ფაქტიური ზედაპირის ფართობიდანგ/მ² წმ

$f = 50$ მ² - ამტვერების ზედაპირის ფართობი

ამ მონაცემების მიხედვით: გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იქნება :

$$M_{\text{მტვრ}} = 1,2 \times 0,1 \times 1,2 \times 0,4 \times 0,002 \times 50 \times 0,4 = 0,0023 \text{ გ/წმ}$$

$$G_{\text{მტვრ}} = 0,0023 \times 8760 \times 3600 / 10^6 = 0,0726 \text{ ტ/წელ}$$

სულ საწარმოს ექსპლუატაციას ატმოსფერულ ჰაერში გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იქნება:

$$M_{\text{მტვრ}} = 1,516 \text{ გ/წმ}$$

$$G_{\text{მტვრ}} = 11,872 \text{ ტ/წელ}$$

მიღებული ანალიზის შედეგები

საწარმოს მიერ წელიწადში 46 080 მ³/წელ (72 728 ტ/წელ) ბალასტის გადამუშავების შედეგად ატმოსფეროში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების ჯამური რაოდენობა იქნება:

არაორგანული მტვერი

$$M_{\text{მტვერი}} = 1,516 \text{ გ/წმ}$$

$$G_{\text{მტვერი}} = 11.872 \text{ ტ/წელ}$$

10. ხმაურის გავრცელება და ზემოქმედება

საწარმოს მუშაობას თან სდევს ხმაურის წარმოქმნა და გავრცელება, რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს გარემოზე და ადამიანებზე. საწარმოს ექსპლუატაციის პერიოდში ხმაურის გავრცელების ძირითად წყაროებს წარმოადგენს როტორული სამსხვრევი, ვიბრაციული საცრები, აქედან ყველაზე მეტი ხმაურის გამომწვევი მოწყობილობაა როტორული სამსხვრევი. ლიტერატურული მონაცემებით მოცემულ შემთხვევაში ხმაურის დონე შეადგენს 95 დბ-ს. მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ საწარმო დაშორებულია დასახლებული პუნქტიდან 0,52 კმ მანძილზე, ამ მანძილზე ხმაურის ზემოქმედება იქნება უმნიშვნელო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საწარმოს ფუნქციონირებისას წარმოქმნილი ხმაური უარყოფით გავლენას ვერ მოახდენს გარემოზე და ადამიანზე.

დანადგარების მიერ შექმნილი ბგერითი წნევის დონეები (L) განისაზღვრება ფორმულით:

$$L = L_p - 20 \lg r - \beta_{ar} / 1000 - 8 \text{ დბ} \quad (1)$$

სადაც: L

L_p არის მოწყობილობების მიერ გამოწვეული ბგერითი წნევის დონე, დბ. საწარმოს პირობებისათვის ის შეადგენს 95 დბ-ს.

r – მანძილია წყაროდან მოცემულ ადგილამდე - 520 მ

β_a – ატმოსფეროში ხმის ჩახშობის სიდიდეა დბ/კმ და მოცემულია ქვემოთ ცხრილ 10.1-ში

ატმოსფეროში ხმის ჩახშობის სიდიდე

ცხრილი 10.1

| | | | | | | | | |
|---|----|-----|-----|-----|------|------|------|------|
| ოქტანური ზოლების საშუალო გეომეტრი-ული სიხშირე | 63 | 125 | 250 | 500 | 1000 | 2000 | 4000 | 8000 |
| ხმისდახშობა დბ/კმ | 0 | 0.7 | 1.5 | 3 | 6 | 12 | 24 | 48 |

ფორმულა (1)-ში მნიშვნელობების ჩასმის შემდეგ r – მანძილისათვის მიიღება ბგერითი სიმძლავრის დონეები იხ. ცხრილ 10.1-ში .

ცხრილი 10.2.

ბგერითი სიმძლავრის დონეები

| ოქტავიური ზოლების საშუალო გეომეტრიული | ბგერითი წნევის დონეები დეციბალებში, საწარმოდან r მანძილზე (მ) | | | | | | | | |
|---------------------------------------|---|-------|-------|------|------|------|-------|-------|-------|
| | 10 | 20 | 50 | 180 | 200 | 250 | 300 | 350 | 400 |
| 63 | 32.00 | 25.98 | 18.02 | 6.89 | 5.98 | 4.04 | 2.46 | 1.12 | -0.04 |
| 125 | 31.99 | 25.97 | 17.99 | 6.77 | 5.84 | 3.87 | 2.25 | 0.87 | -0.32 |
| 250 | 31.99 | 25.95 | 17.95 | 6.62 | 5.68 | 3.67 | 2.01 | 0.59 | -0.64 |
| 500 | 31.97 | 25.92 | 17.87 | 6.35 | 5.38 | 3.29 | 1.56 | 0.07 | -1.24 |
| 1000 | 31.94 | 25.86 | 17.72 | 5.81 | 4.78 | 2.54 | 0.66 | -0.98 | -2.44 |
| 2000 | 31.88 | 25.74 | 17.42 | 4.73 | 3.58 | 1.04 | -1.14 | 0.00 | 0.00 |
| 4000 | 31.76 | 25.50 | 16.82 | 2.57 | 1.18 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 |
| 8000 | 31.52 | 25.02 | 15.62 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 |

მაგრამ იმის გათვალისწინებით რომ საწარმო დაშორებულია საცხოვრებელი სახლიდან 520 მ მანძილზე, ამ მანძილზე ხმაურის ზემოქმედება იქნება უმნიშვნელო. მოცემულ შემთხვევაში საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის სტაციონარულ წყაროს წარმოადგენს ერთი ყბებიანი სამსხვრეველა, რომელიც უახლოესი საცხოვრებელი სახლიდან დაშორებულია 520 მ-ით. უახლოეს საცხოვრებელ სახლთან ატმოსფეროში ბგერის მილევადობის შედეგად ხმაურის დონე შეადგენს 29,25 დბა-ს. რაც არ აღემატება დასაშვებ ნორმას. ტექნიკური სახელმძღვანელოს მიხედვით, ხმის მილევადობა განისაზღვრება ფორმულით: $L_{pd2} = L_{pd1} + 20 \times \log(d1/d2)$, სადაც: L_{pd2} -ხმაურის დონე რეცეპტორთან; L_{pd1} -ხმაურის დონე $d1$ მანძილზე; $d1, d2$ - მანძილი საწყის წერტილში და რეცეპტორამდე; აღნიშნული ფორმულის გამოყენებით უახლოეს მოსახლესთან, საწარმოდან გამოწვეული ხმაური იქნება: 30,5 დბ, ტერიტორიაზე არსებული გამწვანება და ბორცვი კარგად ასრულებს ხმის ჩამხშობის ფუნქციას და ხმაურის გადაჭარბებას ადგილი არ ექნება.

საწარმოს მუშაობა გათვალისწინებულია დღის საათებში. დღის პერიოდისათვის საცხოვრებელ და საძილე სათავსოებში აკუსტიკური ნორმები საქართველოს მთავრობის N398 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დანართი 1-ს მიხედვით შეადგენს 35 დბა-ს.თუ ჩავთვლით, რომ საწარმოსა და დასახლებულ პუნქტს შორის ხმაურის სხვა წყარო არ არსებობს, 520 მ-თ დაცილებულ საანგარიშო წერტილში ბგერითი წნევის ოქტავური დონეები იანგარიშება ფორმულით: $L = L_p - 15lgr + 10lg \Phi - \beta r/1000 - 10lg \Omega$, დბა სადაც,

L_p – ხმაურის წყაროს სიმძლავრის ოქტავური დონე; გამოყენებული მანქანა დანადგარების სიმძლავრეთა გათვალისწინებით იგი ტოლია 95 დბა.

Φ – ხმაურის წყაროს მიმართულების ფაქტორი, უგანზომილებო, განისაზღვრება ცდის საშუალებით და იცვლება 1-დან 8-მდე ბგერის გამოსხივების სივრცით კუთხესთან დამოკიდებულებით);

r – მანძილი ხმაურის წყაროდან საანგარიშო წერტილამდე; Ω – ბგერის გამოსხივების სივრცითი კუთხე, რომელიც მიიღება: $\Omega = 4\pi$ -სივრცეში განთავსებისას; $\Omega = 2\pi$ - ტერიტორიის ზედაპირზე განთავსებისას; $\Omega = \pi$ - ორ წიბოიან კუთხეში; $\Omega = \pi / 2$ – სამ წიბოიან კუთხეში; β – ატმოსფეროში ბგერის მილევადობა (დბ/კმ) ცხრილური მახასიათებელი.

შესაბამისი მნიშვნელობების ჩასმით საცხოვრებელ სახლთან ხმაურის დონე იქნება:

$$L=85-15lg520+10lg2-10,5x520/1000-10lg12,56=85-15 \times 2,944+10x0,3-10,5 \times 0,52-10 \times 1,099=29,25$$

დბა

ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ საწარმოს ხმაური დასახლებულ პუნქტამდე ვერ მიაღწევს. ამასთან დასახლებული პუნქტი მდებარეობს საწარმოს განთავსების დონიდან 35 მ სიმაღლეზე და დასახლებული პუნქტის მიმართულებით გაშენებულია ხემცენარეები, ამასთანავე საწარმო იმუშავებს მხოლოდ დღისით, ასევე თუ გავითვალისწინებთ, რომ საცხოვრებელი სახლის კაპიტალურ კედლებს აქვთ ხმაურის შთანთქმის უნარი, ლიტერატურული მონაცემებით (Борьба с шумом на производстве. Справочник. Е.Юдин. М.1985. გვერდი 173; 224) ღია გარემოში კაპიტალური კედლის ეფექტურობა შეადგენს 10-15დბ (A), შეიძლება დავასკვნათ, რომ საცხოვრებელ სახლებში საპროექტო საწარმოს გავლენა მოსალოდნელი არ არის, მით უმეტეს ვერ გადააჭარბებს მთავრობის N398 დადგენილებით დამტკიცებულ ნორმას (35დბა). საწარმოში დასაქმებულებზე ხმაურის გავლენის შესამცირებლად საჭიროების შემთხვევაში გამოყენებული იქნება სმენის დამცავი ინდივიდუალური საშუალებები, შრომის უსაფრთხოების წესების შესაბამისად.

11. ნიადაგის, გრუნტის, მიწისქვეშა და ზედაპირული წყლების დაბინძურება

საქმიანობის განხორციელებისათვის შერჩეული ტერიტორია არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისაა, წლების განმავლობაში გამოიყენებოდა სამეწარმეო დანიშნულებით. ტერიტორია მოშანდაკებულია, რის გამოც ზემოქმედება ნიადაგზე და გრუნტის ხარისხზე მოსალოდნელი არ არის.

მიწისქვეშა წყლების დაბინძურების რისკები საწარმოს ტერიტორიიდან არ არსებობს, რადგან საწარმოო პროცესის მიმდინარეობის დროს გამოიყენება მხოლოდ ისეთი ნედლეული და მასალები, რომელიც პრაქტიკულად გამორიცხავს მიწისქვეშა წყლების დაბინძურებას.

ზედაპირულ წყლებზე პირდაპირი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. საპროექტო ტერიტორიის უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტია „ქუთაისის არხი“ (სადრენაჟო არხი).

ობიექტის ფუნქციონირებისას წარმოიქმნება სასმელ-სამეურნეო და საწარმოო ჩამდინარე წყლები, რისთვისაც პროექტით გათვალისწინებულია: კომპანიის საყოფაცხოვრებო-სამეურნეო ჩამდინარე წყლების შეკრება საასენიზაციო ორმოში და საწარმოო ჩამდინარე წყლებისთვის სამსაფეხურიანი გამწმენდი ნაგებობის მოწყობა.

სალექარის საშუალებით მოხდება როგორც საწარმოო წყლის, ასევე ტერიტორიაზე მოგროვილი სანიაღვრე წყლების გაწმენდა და „ზედაპირული წყლის ობიექტებში

ჩამდინარე წყლების ტექნიკური რეგლამენტის” მოთხოვნების შესაბამისად შემდგომ მისი „ქუთაისის არხში” ჩაშვება.

